



გაზეთი



# უნივერსიტეტი

29  
იანვარი,  
პარასკევი,  
2016 წ., №1

## წომე რეში



**მზექალა შანიკა: ჩვენ არ უნდა გვჭირდებოდეს მეცნიერების იმპორტი**

33.3

**რუსთაველის და ბალაქტიონის ნაღიქართული ლიტერატურის ინსტიტუტში**

33.5



**ნიგნი, რომელიც გამოსაცემად მზადაა — „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური და ეკონომიური კრიზისები“**

33.6

**რამდენად არის საქართულო საგანმანათლებლო სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული?**

33.7



**მიხელ რამიშვილმა ნოე რამიშვილის პირადი დოკუმენტები თსუ-ს გადასცა**

33.8

**აღმოსავლეთ-მცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი 70 წლისაა**

33.11

## თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კოსტჯა შერქეული კანდიდატის ვინაობა უკვე ცნობილია



თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსზე რამდენიმე კანდიდატთან (იოსებ არჩვაძე, გიორგი გაფრინდაშვილი, თამარ კახანაძე, ალექსანდრა ჩხიტიანი, კახაბერ ჭიჭილაძე) თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრების გასაუბრება 26-27 იანვარს წარიმართა. 27 იანვარს თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ (14 წევრმა) ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატთაგან ერთი — იოსებ არჩვაძე — შერჩია (8 მით 6-ის წინააღმდეგ). აკადემიური საბჭოს 8 წევრმა ხმა მისცა იოსებ არჩვაძის კანდიდატურის შერჩევას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კოსტჯა, აკადემიური საბჭოს 6-მა წევრმა კი ამ კოსტჯა მისთვის სასურველ კანდიდატად გიორგი გაფრინდაშვილი დაასახელა. თსუ-ის აკადემიური საბჭო შერჩეულ კანდიდატს (იოსებ არჩვაძე) თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს უახლოეს პერიოდში წარუდგინებს დასამტკიცებლად. (იოსებ არჩვაძის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები იხილეთ მე-3 გვერდზე).

## „ჩვენ გვინტერესებს აკადემიური საბჭოს ნებელობა, ახსნადობა და მოლოდინების პროპორციულობის საკითხი“

ორგანიზაციის „ახალგაზრდა ადვოკატები“ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია (გაპრცელდა სოციალურ ქსელში):

2016 წლის 27 იანვარს, ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსზე რეგისტრირებული კანდიდატების თსუ-ის აკადემიურ საბჭოსთან გასაუბრების პროცესს დააკვირდა. თსუ-ში კანდიდატების გასაუბრების ეტაპი 26-27 იანვარს მიმდინარეობდა. 26 იანვარს გასაუბრება შედგა იოსებ არჩვაძესთან და გიორგი გაფრინდაშვილთან, 27 იანვარს კი საბჭომ თამარ კახანაძეს, ალექსანდრე ჩხიტიანსა და კახაბერ ჭიჭილაძეს მოუსმინა. „ახალგაზრდა ადვოკატები“ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსზე მონიტორინგის შედეგებს გამოაქვეყნებს. მოცემულ ეტაპზე, შეიძლება

აღინიშნოს ის გარემოება, რომ თსუ-ში კანდიდატების კანდიდატებთან შეხვედრები საქმიან გარემოში ჩატარდა, თუმცა ორგანიზაცია, აგრეთვე, ყურადღებით აკვირდება კანდიდატთა პროგრამებსა და კონცეფციებში დასმულ საკითხებთან მიმართებით, თავად კანდიდატების დამოკიდებულების პრაგმატულობის საკითხს და ამ მიმართულებით მათ საჯარო გამოსვლებს აკადემიური საბჭოს და საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე. ორგანიზაცია მთავარ ყურადღებას დაუთმობს აკადემიური საბჭოს გადწყვეტილებების ხასიათსა, რაც მნიშვნელოვან შთაბეჭდილებას შექმნის აკადემიური საბჭოს თავისუფალი ნების, ახსნადობის და პროცესის შედეგად არსებული მოლოდინების პროპორციულობის თაობაზე. ცნობისთვის: ორგანიზაციამ 2013 წლის აგვისტოში, ასევე მოახდინა მნიშვნელოვანი

მონიტორინგის განხორციელება თსუ-ის რექტორის არჩევნებთან დაკავშირებით. ორგანიზაციამ მაშინ ყურადღება დაუთმო უნივერსიტეტში როგორც წინასაარჩევნო პერიოდში მდგომარეობას, ასევე არჩევნების დღის პროცედურულ ნაწილს და გამოქვეყნებულ დოკუმენტში აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის რექტორი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგად იქნა არჩეული და რომ თსუ-ში, 2004 წლის შემდეგ, პირველი თავისუფალი არჩევნები ჩატარდა. ამჟამად, ჩვენ მივიჩნევთ, რომ კანცლერი უნივერსიტეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამდებობაა, რომლის არჩევაც უნდა მოხდეს გამჭვირვალად და სამართლიანი გარემოს პირობებში.

მე-3 გვერდზე

## რას მოხმარდება წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტი?

2015 წლის 30 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოზე 2016 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტი დამტკიცდა. დამტკიცებამდე ბიუჯეტის პროექტი ადმინისტრაციამ განსახილველად წარუდგინა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და დაინტერესებულ პირებს, რის შემდეგაც ფინანსური დოკუ-

მენტი გარკვეული ცვლილებებით ჯერ აკადემიური საბჭომ, ხოლო შემდეგ სენატმაც დაამტკიცა. 2016 წლის ბიუჯეტი 83 599 954 ლარია. რა პრიორიტეტები განისაზღვრა მიმდინარე წლისათვის და რა სიახლეებია გათვალისწინებული უნივერსიტეტის უმთავრეს ფინანსურ დოკუმენტში, ამ საკითხზე გვესაუბრება თსუ-ის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი ირაკლი სალარაიშვილი.



მე-2 გვერდზე



ინფორმაცია ორგანიზაცია
„ახალგაზრდა ადვოკატების“ შესახებ

პირველი გვერდიდან

P.S. არასამხარეო (არაკომერციული) იურიდიული პირი — „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დანიშნულება: „ლირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდა არასამთავრობო ორგანიზაციის და დაფუძნების დღიდან ერთ-ერთი აქტიური პოზიციის მქონე ორგანიზაციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში, საზოგადოებრივი ინტერესებისა და ინსტიტუციური რეფორმების შეფასების პროცესში.

ბას იღებს საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. ამასთან, 2015 წლის თებერვალში, ორგანიზაცია აღმოჩნდა ერთ-ერთი წარმდგენი და მხარდაჭერი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის კანდიდატურა შესთავაზა. 2015 წლის აპრილიდან, ორგანიზაცია ჩაერთო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში. 2015 წლის 30 აპრილს, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინიციატივით, დაფუძნდა არასამთავრობო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოციაციების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“. 2015 წლის დეკემბრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გახდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელების კანდიდატის — იოსებ არჩვაქის ბიოგრაფიული ცნობები

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი იოსებ არჩვაქი დაიბადა 1956 წლის 16 თებერვალს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში. მისი ოჯახი 1958 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა ქ. სოხუმიში, სადაც 1973 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (სპეციალობა — „სტატისტიკა“). 1982 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ასპირანტურა (სპეციალობა — პოლიტიკური ეკონომია). 1985 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა: არსი, კრიტერიუმები, მაჩვენებლები“.



2006-2012 წწ.-ში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წამყვან სპეციალისტად, რომლის ფუნქცია-მოვალეობებშიც შედიოდა კანონპროექტების ექსპერტიზა და შესაბამისი დასკვნების მომზადება, საბანკო სექტორის მონიტორინგი, მაკროეკონომიკური მდგომარეობისა და ინფლაციის ანალიზი. მანამდე, 1978-2006 წწ.-ში მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის სამსახურში უფროს ეკონომისტად (1978-1982 წწ.), განყოფილების უფროსად (1982-1987 წწ.), სამმართველოს უფროსად (1988-1992 წწ.), თავმჯდომარის მოადგილედ (1992-1996 წწ.), თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (1996-2005 წწ.). ამ თანამდებობაზე მის ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს წარმოადგენდა: მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაანგარიშება, მოსახლეობის შემოსავალ-გასავლის ბალანსის გაანგარიშება (1984-1990 წწ.), ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება (1990 წლიდან), ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა (1992 წლიდან), საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკურის სისტემის დანერგვა (1993-2006 წწ.), აგოგიური საქმიანობა. 1986-1990 წწ.-ში კი ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის პედაგოგი გახლდათ, რომელიც ლექციების კურსს კითხულობდა პოლიტიკურ ეკონომიაში. გახლავთ შურნალის „ეკონომიკა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. იოსებ არჩვაქი დაჯილდოვებულია „ლირსების ორდენით“ მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მომზადებასა და ჩატარებაში შეტანილი წვლილისათვის. გარდა ამისა, 1992-2005 წწ. გახლდათ პროგრამა TACIS-ის კოორდინატორი ევროსტატისა და საქართველოს შრომის პროექტების რეალიზაციაში სტატისტიკის სამსახურში; 1996-2000 წწ. — გენდერული თანასწორობის სტატისტიკის პროექტის კოორდინატორი Sida-ს (შვეიცია) პროგრამის ფარგლებში; 2001-2005 წწ. — სოციალური სტატისტიკის პროექტის კოორდინატორი გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან (DFID); 2003 წ. ფუნქცია (შვეიცარია) — შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შრომის სტატისტიკის XVII საერთაშორისო კონფერენციის ვიცე-თავმჯდომარე. არის არაერთი პუბლიკაციისა და სტატიის ავტორი. კარგად ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს. ჰყავს: მეუღლე (ლია ქურხული — ფსიქოლოგის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) ასოცირებული პროფესორი) და ორი შვილი — ნათია არჩვაქი (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის უფროსი სპეციალისტი) და ირაკლი არჩვაქი (საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი, „საქართველოს რკინიგზის“ მარკეტინგის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი).

მზაქალა შანიძე: ჩვენ არ უნდა გვჭირდებოდეს მეცნიერების იმპორტი

ჩვენი ქვეყნის მაღალი ინტელექტუალური და სამეცნიერო დონის პასპორტი — ასეთ შეფასებას აძლევს მას სამეცნიერო წრეებში; კოლეგებისთვის იგი მრავალმხრივი მეცნიერი, პროფესიონალი ლინგვისტი, ბრწყინვალე ტექსტოლოგი და პოლიგლოტი; მთელი ქართული საზოგადოებისთვის კი მზაქალა შანიძე სამართლიანი, პრინციპული და მიუკერძოებელი პიროვნებაა. ძნელია, არ იამაყო ქალთი, რომელიც თავისი საქმიანობით, ცხოვრების წესის სისადავით, მეცნიერული ასპექტიზმითა და მაღალი აკადემიურობით საპირსწონეა ყველა იმ ხინჯისა, რაც ასე გვალიზინებს ჩვენს ისტორიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან შეძლო ღირსეულად გაეგრძელებინა ის ტრადიცია, რომელიც ქართული მეცნიერების პირველი კორიფეებიდან და საკუთარი ოჯახიდან მოჰყვება და დღემდე ამ პრინციპების ცოცხალ მატარებლად რჩება ყველა ჩვენგანისთვის. 16 იანვარს მზაქალა შანიძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. სოლიდური ასაკის მიუხედავად, კვლავ აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა და აკადემიური და საზოგადოებრივი ცხოვრების პულსზე უჭირავს ხელი: ნებისმიერი მოვლენის მისეული ხედვა და შეფასება საქმეზე გულსტეკვილი, მიუკერძოებლობისა და ღრმა ანალიზის შედეგია, რაც ძალიან იშვიათი და ძვირფასი პოზიციაა ჩვენს ხმაურიან და შედაპირულ დღევანდლობაში.

— თავის დროზე აკაკი შანიძე მოუწოდებდა ახალგაზრდებს, რომ შეეძინათ ცოდნა, რადგან მის გარეშე ახალ დროში ცხოვრება გაუჭირდებოდათ. მამათქვენმა და მისი თაობის მეცნიერებმა ძალიან ბევრი იღვანეს, რათა მაღალ დონეზე გაგრძელებულიყო ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწყებული საქმე და მეცნიერება სათანადო სიმაღლეზე მდგარიყო. თქვენც სწორედ ამ ტრადიციების გამგრძელებელი ხართ. როგორ შეფასებთ იმ მდგომარეობას, რომელიც დღეს მეცნიერებასა და, ზოგადად, განათლების სფეროშია შექმნილი?

იმ საბაბით, რომ იქ კვლევას სათანადოდ არ ხდებოდა, რაც არასწორი იყო: თუ კვლევა არ მიმდინარეობდა, მაშინ ეს უნდა გამოსწორებულიყო, საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ კვლევა საერთოდ აღარ ყოფილა საჭირო. ჩვენ, მეცნიერები, ფაქტობრივად, გადაგვყარეს. სახელმწიფო უარი თქვა მეცნიერების დაფინანსებაზე. ქვეყნის განვითარება კი მეცნიერების გარეშე, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისა, როგორც ჩვენია, არ შეიძლება. მიაქციეთ ყურადღება: იმ პატარა, ახალ სახელმწიფოებში, რომლებიც ახლახან ჩამოყალიბდა აფრიკაში, რაზე იხარავენ ბიუჯეტის ძალიან დიდი ნაწილი? — განათლებასა და კვლევაზე. ჩვენ ამხელა შერილობითი ისტორია გვაქვს და როგორ შეიძლება ისე დაისვას საკითხი, რომ მეცნიერება ჩვენში აღარ იყოს? ელემენტარული რომ ავიღოთ: საქართველო მთა-გორიანი ქვეყანაა, გზები არ გვქონდა აქამდე, არა და გვჭირდებოდა...



მზაქალა შანიძე 90

ბა. ამას გეოლოგი, ინჟინერი, მშენებელი, ხილმშენებელი და ა.შ. ესაჭიროება. რა უნდა ვქნათ? უცხოეთიდან ჩამოვიყვანოთ სპეციალისტები? ჩვენ არ უნდა გვჭირდებოდეს მეცნიერების იმპორტი და არც ჩვენს მეცნიერს უნდა სჭირდებოდეს ამერიკაში გაქცევა, რათა ლაბორატორია ჰქონდეს. ჰუმანიტარულ დარგებს განსაკუთრებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა და ბევრი ეპიეთეტიც მოვისმინეთ იმასთან და-

კავშირებით, რომ არაფრის გამოკეთებლად ვიყავით. მიუხედავად ამისა, ჩვენ, რაც შეგვიძლია, ვცდილობთ, მაგრამ თუ საბაზო დაფინანსება არ აქვს მეცნიერებას, ისე არაფერი გამოვა. დღეს მეცნიერებს სთხოვენ, რომ დიდ, მსხვილ პრობლემებზე იმუშაონ. ეს თავისთავად სწორია, მაგრამ დიდ და მსხვილ პრობლემებზე მუშაობა არ...

# მზავალი შანიძე: ჩვენ არ უნდა გვჭირდებოდეს მეცნიერების იმპორტი

მესამე გვერდიდან

შეიძლება ისე, თუ დეტალები არ იქნა დამუშავებული. ზუსტ მეცნიერებებში დიდ დასკვნებს ვერ გააკეთებ, თუ კონკრეტული, პატარა-პატარა ცდების საფუძველზე არ იქნა მოპოვებული ფაქტები, რომლებიც ამ დასკვნების საფუძველი იქნება. ეს პატარა-პატარა ფაქტები კი საჭიროებს ხალხს, რომელმაც ისინი უნდა მოიპოვონ. არ შეიძლება კვლევა ლაბორანტის გარეშე, ისე, როგორც არ შეიძლება გეოლოგიაში გლობალური დასკვნების გაკეთება კავკასიის გეოლოგიური სტრუქტურის შესახებ, თუ არ იქნება ახალგაზრდა სპეციალიტი, რომელიც წავა და გაზომვით სამუშაოებს ჩაატარებს. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთ ელემენტარულ რამეზე გვიხდება საუბარი, მაგრამ, როდესაც გვითხროვენ დიდ კომპლექსურ კვლევებს, იქნება ეს ბიოლოგია თუ ენათმეცნიერება, უნდა გაითვალისწინოთ, რომ მეცნიერება საყრდენისა და ფაქტების გარეშე შეუძლებელია. დღეს კი ისეთი მდგომარეობაა, რომ არ არის ამის საშუალება.



## მზავალი შანიძე 90

ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ენათმეცნიერებისთვის ქართული ენის ყოველმხრივი შესწავლა. ერთი ლინგვისტური თვალსაზრისით უშუალოდ ენის მდგომარეობის შეფასება და მეორეა ის, რომ ძალიან ბევრი რამ ახალი შემოსული ლინგვისტურ მეცნიერებებში. ახლის განვითარებისთვის ბოლო წლებში ძალიან მცირე შესაძლებლობა გვქონდა. სასწრაფოდ შესასწავლია დიალექტები, რადგან თანდათანობით ქრება ის ხალხი, რომლისთვისაც დიალექტი იყო მეტყველების ძირითადი საშუალება. ამას აქვს როგორც ლინგვისტური, ისე პარალინგვისტური მიზეზები: საქართველოში ხდება მოსახლეობის მიგრაცია, რაც საზოგადოების სტრუქტურაში იწვევს ცვლილებებს. შესაბამისად, იცვლება ლინგვისტური სიტუაციაც. გარდა ამისა, ტელევიზიამ, რომლის საძაგებლმა ენამ მთელი საქართველო წაღო, ძალიან დიდი გავლენა იქონია ხალხის მეტყველებაზე. საჭიროა ამის სასწრაფოდ შესწავლა, რისი საშუალებაც არ არის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, თუნდაც, ჩვენს დარგში ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენ ვცინდით. ძალიან კარგად მუშაობენ ჩვენი ენათმეცნიერები, ბევრს აკეთებენ, მაგრამ აკეთებენ იმას, რისი საშუალებაც აქვთ.

ინტერესი, როგორც დღეს. მე ნამდვილად არ მინდა, რომ ქართველოლოგიის შესწავლის ცენტრი საქართველოდან გადავიდეს სადმე სხვაგან – ინგლისში, გერმანიაში, ან ამერიკაში.

ქართველოლოგია თავისთავად საჭიროა და ყოველ ქვეყანაში ის მიმართულება, რაც ამ ქვეყნის ეროვნულ საკითხებს შეეხება, პრიორიტეტულია, რადგან ეს ერთგვარი პასპორტია ამ ქვეყნისთვის. როგორც ამბობენ, ნორვეგიაში ტექნიკური მეცნიერებები ძალიან განვითარებულია, მაგრამ მთელ მსოფლიოს, პირველ რიგში, აინტერესებს ნორვეგიული კულტურა და ის, თუ რითი განსხვავდება სხვებისაგან; რას წარმოადგენს; როგორია მისი სახე — ეს ყველაფერი ჰუმანიტარული მეცნიერებების საკეთებელი საქმეა.

**— უნივერსიტეტის დაარსებისას მისი ერთ-ერთი მთავარი მისია იყო — იგი გამხდარიყო ქართველოლოგიური მეცნიერებების შესწავლის ცენტრი. ზოგადად, როგორ შეაფასებთ უნივერსიტეტის ფაქტორს და მნიშვნელობას ჩვენს ისტორიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში?**

— უნივერსიტეტის დაარსება იყო ძალიან დიდი მოვლენა საქართველოსთვის. ივანე ჯავახიშვილს, რომელიც ამ დიდი ნამოსწყების მეთაური იყო, ძალიან კარგად ესმოდა, რომ საქართველოს შემდგომი განვითარება საჭიროებდა განათლებულ და მომზადებულ ხალხს. არ დაგვიწყნდეთ, ეს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პირობებში ხდებოდა. საქართველო აგრარული ქვეყანა იყო XX საუკუნის დასაწყისში. იყვნენ გლეხები და თავად-აზნაურობა, რომელიც დიდად არ ინუხებდა თავს განათლებისათვის, თითო-ორი კი მიდიდა რუსეთში, ან ევროპაში განათლების მისაღებად, მაგრამ, ძირითადად, მთლიან მასას ეს არ ეხებოდა. ივანე ჯავახიშვილმა ძალიან დიდი ამოცანა დაისახა, ეს იყო ილია ჭავჭავაძის ხაზის გაგრძელება, მაგრამ ჩვენს უნივერსიტეტს თავიდანვე ცუდი ისტორიულ პირობებში მოუხდა მუშაობა. 30-იან წლებში, როდესაც მარქსიზმის დასანერგად იბრძოდნენ, დაიწყო მომზადებული ხალხის დევნა და განადგურება, ფიზიკურიც მათ შორის — ამან თავისი დიდი დააჩნია საუნივერსიტეტო განათლებას. მერე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, სადაც დაიღუპა უამრავი ახალგაზრდა, ანუ ის ხალხი, ვისაც უნდა ესწავლა. თუ ევროპულ ქვეყნებში და რუსეთში უმაღლეს განათლებაში უკვე მოდიოდა ახალგაზრდობა, რომელთა უმეტესობას გიმნაზიებში კლასიკური განათლება ჰქონდა მიღებული, ჩვენს უმაღლეს სკოლებში, ძირითადად, მოვიდა გლეხობა, რომლებმაც სოფლის სკოლებში მიიღეს ცოდნა, სადაც, ბუნებრივია, სწავლების მაღალი დონე ვერ იქნებოდა, რადგან შეუძლებელია 10 წელიწადში სკოლამ ის ტრადიციე-

ბი შეიძინოს, რომელიც არსებობდა ევროპასა და, თუნდაც, რუსეთში. ნორმალური განვითარების საშუალება რომ მისცემოდა უნივერსიტეტს, ეს თანდათანობით გამოსწორდებოდა: პირველი თაობა რაღაცას ისწავლიდა, მერე სხვას ასწავლიდა, მაგრამ 30-იან წლებში დაიწყო ნამდვილი მეცნიერების დევნა, ნამოტივტივდა ის ხალხი, რომლებმაც არაფერი იცოდა გარდა იმის ყვირილისა, რომ ივანე ჯავახიშვილი იყო ბურჟუაზიული მეცნიერი და ამის გამო უნდა ჩაეკოლათ. ამას მოჰყვა ომი და როდესაც უნივერსიტეტი შეივსო ახალი კონტინგენტით, სწავლის დონემ დაიკლო. ომის შემდგომ პერიოდში უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყეს ფაქტობრივად სწავლების სოც-შეჯიბრი: ალარავინ ფიქრობდა ნამდვილ სწავლასა და ცოდნის დაუფლებაზე, მთავარი იყო სოც-შეჯიბრში გამარჯვება. მზექალა შანიძე რომ არ წერდა ნიშანს იმიტომ, რომ იმ სტუდენტმა არაფერი იცოდა, ამის გამო ბრძოლა გამოუცხადეს მზექალა შანიძეს, რადგან რამენაირად დაეწერინებინათ მისთვის ნიშანი. ეს აღარ იყო დეიდისა და მამიდის პროტექცია, ეს იყო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც ითხოვდა ფორმალურად მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს. ამ ყველაფერმა შედეგი გამოიღო და დღეს, როდესაც ძალიან ბევრი სირთულე დაგვიდგა, აღმოჩნდა, რომ ქვეყანა მათ დასაძლევად მზად არ არის. მიუხედავად ამისა, ჰუმანიტარულ და ზუსტ მეცნიერებებში მაინც იყო ხალხი, რომელიც ინარჩუნებდა თანამედროვე მეცნიერებისათვის საჭირო დონეს. ქართული მეცნიერული სკოლები — მათემატიკური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ა.შ. — მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებდა თავის მაღალ სტატუსს და ბევრ დარგში ნამყვანიც იყო, მაგრამ აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ერთიანად საზოგადოებაში განათლების დონე მაინც დაბალი იყო და ახლაც ასეა. ბოლო დროს კი ცდილობენ ახალი მეთოდები და მიდგომები შემოიღონ, მაგრამ მე მაქვს საშუალება თვალყური ვადევნო განათლების სამინისტროს მუშაობას, მაქვს საქმიანი ურთიერთობა საგამოცდო ცენტრთან და ვხედავ, რომ ცოდნის საერთო დონე ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. ერთმანეთის საწინააღმდეგო პროცესები გვქონდა, როგორც ჩანს: ერთი მხრივ, მაღალი დონე მრავალი მეცნიერული დარგისა და ძალიან დაბალი დონე საზოგადოებაში ელემენტარული სასკოლო განათლებისა. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტი ასეთია და ეს ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროზე აისახება.

**— მიუხედავად განათლების საერთო დონისა, დღეს ძალიან ბევრი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში. რამდენად გამართლებულია ასეთი მრავალფეროვნება?**

— ჩემთვის ერთი უნივერსიტეტი არსებობს და, მე მართალი გითხრათ, არა ვარ მომხრე უმაღლესი სასწავლებლების ჩამოყალიბებისა იმ შემთხვევაში, თუკი მომზადების სათანადო დონე არ არის. კი ბატონო, გახსენი ახმეტაში სამედიცინო ინსტიტუტი (შეიძლება ეს საჭირო იყოს), მაგრამ არსებობს კი ის ბაზა, რომელსაც ეს ინსტიტუტი უნდა დაეყრდნოს? ასეთ ბაზას, ჯერჯერობით, ყველგან ვერ ვხედავ. მართალია, ფაქტებს ამ დარგში საკმარისად კარგად არ ვიცნობ, მაგრამ მაინც მეჩვენება, რომ ბოლო წლებში გახსნილი ყველა უმაღლესი სასწავლებელი მზად არ უნდა იყოს მალაპროფესიული აკადემიური მოღვაწეობისთვის. დღეს ჩვენს დარგებში ბაკალავრიატს რომ ამთავრებს ახალგაზრდა, ის არაფრის სპეციალისტი არ არის. ხანდახან მეჩვენება, რომ უნივერსიტეტმა იკისრა სკოლის როლი და აწოდებს სტუდენტებს იმ ზოგად განათლებას, რისი შექმნაც სკოლაში ვერ შეძლეს. ამასობაში სპეციალური საგნები გვერდზე რჩება. არ ვიცი, რა შეიძლება ამას მოეუხერხოთ. ნამდვილად ძალიან მანუხებს.

**— ქალბატონო მზექალა, თქვენ ყოველთვის ცნობილი იყავით, როგორც მკაცრი ლექტორი. რას ნიშნავს სიმკაცრე სწავლების პროცესში და როდისაა ის გამართლებული?**

— მკაცრს რას ეძახით? მე სტუდენტისათვის არასოდეს მიყვარია, არ დამითრგუნავს. ვთვლიდი, რომ საჭიროა სტუდენტმა იცოდეს ბევრი რამ. როდესაც მეუბნებოდნენ, რომ ვილაცისთვის შეღავათი უნდა გამეწია, რადგან მას არ ჰქონდა სწავლის პირობები, მე ვეკითხებოდი: თქვენ ისურვებდით ახლობლისთვის ისეთ ექიმს, რომელსაც სწავლისას გაუკეთეს შეღავათი, რადგან მას მიძიმე პირობები ჰქონდა? მპასუხობდნენ, რომ — არა. აი, ასეთი იყო ჩემი მოთხოვნა. მიმარჩია, რომ სტუდენტს საჭიროდებოდა მუდმივი მეცადინეობა და არა სამი დამის გათენება გამოცდების წინ და ვილაცის კონსპექტების ქექვა. საჭიროა სისტემური წვრთნა, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი. ლექცია არ არის რეპეტიტორის გაკვეთილი. ლექცია არის ზოგადი მონახაზი, მიმართულების მაჩვენებელი სტუდენტისთვის და მერე მითითებული ლიტერატურის მიხედვით უნდა მუშაობდეს სტუდენტი და მისი მუშაობა უნდა იწყებოდეს პირველი სემესტრის პირველივე დღიდან. აი, ასეთი იყო ჩემი სიმკაცრე.

**— სალექციო კურსის გარდა, რომელიც ქართული ენის ისტორიას შეეხება და რომელსაც თითქმის 50 წელია კითხულობთ, თქვენ მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ბრძანდებით. თქვენ მიერ დამუშავებული და გამოცემულია არა ერთი უძველესი ხელნაწერი. დღეს რაზე მუშაობთ, რითი ხართ დაკავებული?**

— უნივერსიტეტში გვქონდა ლაბორატორია „ოროინი“, რომელიც ბოლო წლებში მხოლოდ ქალაქზე არსებობდა, რადგან თანამშრომლები არ გვყავდა. 9 წლის შემდეგ მოახერხა ქალბატონმა დარეჯან თვალთვაქიმ, რომ ხელშეკრულებით ორი თანამშრომელი შემოგვეყვანა. ახლა რამდენიმე გამოცემაზე გვინდა ვიმუშაოთ: მათ შორის, მამაჩემის — აკაკი შანიძის — თორმეტკომეულის გამოცემა გვინდა განვაახლოთ, რადგან დღემდე მხოლოდ ხუთი ტომია დაბეჭდილი. ასევე, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ძალიან მნიშვნელოვანი ტექსტის, ეფრემ მცირის ერთ-ერთი თხზულების გამოქვეყნებაზე ვმუშაობ. პარალელურად, კონსულტანტი ვარ და მონაწილეობის მიღება მიწევს სხვადასხვა პროექტებში.

მომზადდა  
ლელა კურდღელაშვილმა





# რამდენად არის საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული?

**რ**ამდენად არის საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული? — კითხვაზე პასუხის მისაღებად ლევან მიქელაძის სახელობის ფონდმა და სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა, ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, პროექტი — „სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა“ — განახორციელა. პროექტის ფარგლებში საქართველოს 4 სახელმწიფო უნივერსიტეტში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თელავის იაკობ გოგებავილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა, რომელშიც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 1150 სტუდენტი მონაწილეობდა.

## ნათო მობლაძე

სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა ბოლონის პროცესის ნაწილია და გულისხმობს სტუდენტური თანამონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდას როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრირების სფეროში. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში ორივე სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი განხორციელდა. კვლევა რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა, მათ შორის, დასავლური უნივერსიტეტების გამოცდილების შესწავლა-ანალიზი, თვისებრივი კვლევა, რაოდენობრივი კვლევა და საბოლოო რეპორტი. კვლევის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 9 ნოემბერს გაიმართა, სადაც მოხსენებები ასოცირებულმა პროფესორმა ნანა მაჭარაშვილმა (უცხოური გამოცდილების კვლევის ავტორი), პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა (რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ავტორი) და პროფესორმა გიორგი გოგასაძემ (პროექტის დირექტორი) წარმოადგინეს.

პროექტის ფარგლებში რაოდენობრივი კვლევა რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით განხორციელდა, მათ შორის არის: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეფასება, აპელაციის შესაძლებლობა და პრაქტიკა, სტუდენტების უკუკავშირი მათი გამოკითხვის გზით, ცვლილებების მხარდაჭერა, დასაქმების ხელშეწყობა, ინტერნაციონალიზაცია, სტუდენტთა მომსახურება, მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შევსება, მართვაში მონაწილეობა.

დასაქმების ხელშეწყობის თვალსაზრისით, კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტებისთვის ბაკალავრიატის დამთავრება, დასაქმებისთვის საჭირო კვალიფიკაციის მიღების თვალსაზრისით, კარგი გამოსავალი არ არის: ერთმნიშვნელოვანი ოპტიმიზმი („სავსებით საკმარისია“) რესპონდენტთა მხოლოდ 16.4%-ს გააჩნია, ხოლო ზომიერი ოპტიმიზმი („უფრო საკმარისი, ვიდრე არასაკმარისი“) — 21.7%-ს. ამ საკითხზე რეზისტენტულად განწყობილთა წილი 26.5%-ია. მაგისტრატურასთან მიმართებაში ვითარება უკეთესად გამოიყურება. რაც შეეხება სტუდენტთა მომსახურებას, საერთო შერჩევაში, ძირითადად, ეს უწყვეტი დადებითად შეფასდა სტუდენტების მიერ, თუმცა ერთმნიშვნელოვნად დადებითად შემფასებელთა წილი დაბალია (10.5% — „ძალზე დადებითად“, 36.2% — „უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად“). უნივერსიტეტებს შორის ერთადერთი სამიზნე უფრო მეტი, სადაც სტუდენტთა მომსახურება უფრო სტუდენტზე ორიენტირებულია (38.5%), ვიდრე დადებითად (36.8%). ყველა სამიზნე უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობამ საკუთარი გავლენა შიდა საუნივერსიტეტო პროცესებზე შეაფასა როგორც „საშუალო“ ან „სუსტი“. თსუ-ში ყველაზე მაღალია „სუსტი“ გავლენის მაჩვენებელი.

„კვლევის მეთოდი გახლდათ პირისპირ ინტერვიუ. კვლევის ანალიზი განხორ-



ციელდა სამ დონეზე: 1. ზოგადი ანალიზი განხორციელდა ოთხივე უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით. ჩვენ გვაქვს ამის უფლება, რადგან ეს უმაღლესი სასწავლებლები ერთმანეთს გან რადიკალურად არ განსხვავდებიან. 2. ოთხივე უნივერსიტეტში არსებული ვითარება ცალ-ცალკე გავანალიზეთ. 3. მესამე დონე გულისხმობს ანალიზს სწავლების საფეხურების მიხედვით, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის მაგალითზე. რაოდენობრივი კვლევის მიხედვით ზოგადი შეფასება ასეთია — სამიზნე სახელმწიფო უნივერსიტეტების საერთო შერჩევის ყოველი მეორე რესპონდენტი (49.9%) იზარებს პოზიციას, რომ საქართველოში ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღება შესაძლებელია. თუმცა, კატეგორიულად დადებითი პოზიცია („სავსებით შესაძლებელია“) ამ მიმართულებით მხოლოდ დაახლოებით 22%-ს აქვს. რესპონდენტთა მესამედზე მეტი (35.2%) დაბალანსებული პოზიციის გამოხატავს ამჯობინებს („თანაბრად შესაძლებელია და შეუძლებელია“). მნიშვნელოვანი სხვაობაა სამიზნე უნივერსიტეტებს შორის: ხარისხიანი განათლების მიღების თვალსაზრისით, ყველაზე მაღალი შეფასება თავიანთ უნივერსიტეტს თსუ-ის სტუდენტებმა მიანიჭეს, ყველაზე დაბალი კი — ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. თუმცა, ყველა სამიზნე უნივერსიტეტში საერთო სურათი პოზიტიურია (ანუ, საშუალო მაჩვენებლები არასოდეს ექცევა უარყოფითი შეფასების „ველში“). რაც შეეხება საკითხს, არის თუ არა სამიზნე უნივერსიტეტებში სწავლება მორგებული სტუდენტის ინტერესებზე, ამ საკითხზე ოთხივე უნივერსიტეტის რესპონდენტების მოსაზრებები გაყოფილია სხვადასხვა პოზიციების — „ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“, „თანაბრად ვეთანხმები და არ ვეთანხმები“ — მიხედვით. ეს ცხადყოფს, რომ საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ორიენტაცია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თვალსაზრისით ჯერ კიდევ წარმოადგენს გამოწვევას, რამდენადაც სტუდენტთა მხოლოდ 34-42% ეთანხმება სამიზნე უნივერსიტეტებში სტუდენტზე ორიენტი-

რებული სწავლების პრაქტიკის არსებობას“, — განაცხადა კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა, პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

კვლევის ავტორების მოსაზრებით, სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების სფეროში არსებული პრობლემების შესწავლა აქტუალური საკითხია. აღნიშნული პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი გადაჭრის გზების შესახებ რეკომენდაციების შემუშავებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კვლევის შედეგები საშუალებას მისცემს უნივერსიტეტების ადმინისტრაციას, უპირველეს ყოვლისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ასევე პროფესორს, სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა ჩამოუყალიბდეთ სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების სფეროში არსებული პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლებლობების შესახებ.

„სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა განიხილება, როგორც სრულიად ახალი ტიპის პარადიგმა, რომლის ინიცირებაც ევროკავშირის საერთო საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელდა ევროკომისიის, ევროპის სტუდენტთა კავშირისა (ESU) და საერთაშორისო საგანმანათლებლო (EI) ასოციაციის მიერ ევროკავშირის დაფინანსებული სიციცხლის მანძილზე განათლების პროექტის ფარგლებში. აღნიშნულ პროექტს ადმინისტრირებას უწევდა ევროკავშირის განათლების, აუდიო-ვიზუალური და კულტურული საქმეთა აღმასრულებელი სააგენტო (EACEA). აღნიშნული პროექტის მიზანი გახლდათ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების სისტემის დანერგვა ორიენტირებული სარეკომენდაციო პაკეტის შეთავაზება ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა ამ გზით უზრუნველყოფილიყო ბოლონის პროცესის გაგრძელება და შემდგომი წარმატება. 2010 წელს შეთავაზებული რეკომენდაციები წარმოადგენს ამ პროექტის განხორციელებაში ჩართული მხარეების მიერ წარმოდგენილ საბოლოო დოკუ-

მენტს, რომლის პრინციპებიც, სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის საქართველოში დანერგვის მიზნით, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია. მეორე მხრივ, საგულისხმოა ის რეკომენდაციებიც, რომელიც ქართველი სტუდენტების გამოკითხვის შედეგად შემუშავდა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ქართულ საგანმანათლებლო სისტემას განსხვავებული მახასიათებლებიც აქვს. მაგალითად, აქტუალურია, კრედიტების არჩევანის თავისუფლების ხარისხი გაიზარდოს, სწავლების პროცესში ხელი შეეწყოს დასაქმებულ და დაოჯახებულ სტუდენტებს, ასევე, გაიზარდოს სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის ხარისხი სასწავლო პროგრამების შეფასებისას, კრედიტების სახით უნდა იყოს აღიარებული, თუკი რომელიმე სტუდენტი საზოგადოებრივი საქმიანობითაც არის დაკავებული. ამ გზით სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარებასაც შეეწყობთ ხელს. ადამიანი ინფორმაციის დასამახსოვრებლად ვიზუალურ აღქმას 60%-ით იყენებს, დემონსტრირების მეთოდი მას 20%-ით ზრდის, დისკუსია — 30%-ით, პრაქტიკული სამუშაოები 50%-ით, სხვისთვის სწავლებისას კი ცოდნის გრძელვადიანი პერსპექტივით ათვისება 90%-ით იზრდება. აუცილებელია ეს გათვალისწინონ ადმინისტრაციულმა და აკადემიურმა პერსონალმაც“, — განაცხადა ასოცირებულმა პროფესორმა ნანა მაჭარაშვილმა.

კვლევის — „სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა“ — ანგარიშში აღნიშნულია, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მოდელის დამკვიდრებას შესაძლებელია ხელი შეუშალოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა: 1. ადმინისტრაციული სირთულე; 2. უმაღლესი დანახარების სხვა პირობები; 3. შეზღუდული ფინანსური მხარდაჭერა; 4. გადაწყვეტილების მიღების ზედმეტი ცენტრალიზაცია ან დეცენტრალიზაცია; 5. კონცეფციის არაადეკვატური აღქმა; 6. ნეგატიური დამოკიდებულებები კონცეფციის მიმართ; 7. მომავალი განვითარების შესახებ განსხვავებული ხედვები. თუმცა, აღნიშნული წინააღმდეგობების მიუხედავად სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მოდელის დანერგვა დღეს გარდაუვალი აუცილებლობაა. კვლევის პრეზენტაციაზე ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემაც ისაუბრა.

„ეს კვლევა სახელმძღვანელო დოკუმენტია. ვფიქრობ, ასეთი სახის ინფორმაცია ბევრად საჯარო უნდა გახდეს. კვლევის შედეგები რომ პროგრამების სრულყოფისთვის გამოვიყენოთ, ამისათვის საჭიროა ძირითად ნორმატიულ საბაზო მოცემულობაში ცვლილებები განხორციელდეს. ფორმალური გარემოებები მხოლოდ 10%-იანი ცვლილებების საშუალებას გვაძლევს. გადაჭარბების შემთხვევაში პროგრამები ხელახალი აკრედიტაციის წინაშე დგება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის რეკომენდაციების შეთავაზება, რათა სისტემა ბევრად მოქნილი გახდეს“, — განაცხადა თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ.

კვლევის პრეზენტაცია, ასევე, დაგეგმილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროშიც. ღონისძიების ინიციატორი სამინისტროს საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი რუსუდან თევზაძე გახლდათ.

პროექტის „სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა“ ფარგლებში უმაღლესი განათლების ორი კომპონენტის სწავლებისა და ადმინისტრირების კვლევა-ანალიზი განხორციელდა, რაც შეეხება მესამე კომპონენტს — სამეცნიერო კვლევას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ მხრივ არსებული ვითარების შესწავლა ცალკე პროექტის ფარგლებში მოხდება, რომლის დანერგვა 2016 წელს იგეგმება.



# მიუღალ რამიშვილმა ნოე რამიშვილის პირადი დოკუმენტები თსუ-ს გადასცა



ნოე რამიშვილის შვილიშვილმა მიუღალ რამიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ბაბუის პასპორტი გადასცა. მიუღალ რამიშვილი თსუ-ს 11 იანვარს სტუმრობდა. მან ნოე რამიშვილის პასპორტიანი ერთად, რომელსაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საკონტროლო გამშვებ პუნქტში სიმბოლურად ქვეყანაში შემოსვლის შტამები დაედო, ქართული სამეცნიერო სივრცისთვის აქამდე უცნობი არქივი ჩამოიტანა. მიუღალ რამიშვილის განცხადებით, ეს მისი ბაბუის ერთგვარი დაბრუნება საქართველოში.

„იმ წუთიდან, რაც ეს დოკუმენტი ვიპოვეთ, გადავწყვიტეთ, რომ საქართველოში უნდა დავგვებრუნებინა. ეს ძალიან საინ-

ტერესო და ისტორიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია. მე, როგორც ნოე რამიშვილის შთამომავალი, ყოველთვის მზად ვარ მოვიხილო, უფრო მეტი გავიგო იმ პერიოდის შესახებ, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის და ეს ინფორმაცია მოგაწოდებდა“, — განაცხადა მიუღალ რამიშვილმა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრის ნოე რამიშვილის შთამომავალს მიუღალ რამიშვილს თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ უმასპინძლა. მიუღალ რამიშვილმა მას პირადად უსახსოვრა ნიგანი, რომელიც ნოე რამიშვილის შვილის — კაკი რამიშვილის მოგონებებს შეეხება.

„საქართველოში პირველი რესპუბლიკის დროინდელი დოკუმენტების დაბრუნება სწრაფი ტემპებით მიდის. პირველი რესპუბლიკის ერთ-ერთი მინისტრის პასპორტის დაბრუნება ჩვენთვის დიდი საჩუქარი და პატივია. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია არა მარტო ჩვენი უნივერსიტეტისთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი მეცნიერები ღირსეულად შეასრულებენ იმ ამოცანას, რომ ეს პერიოდი უკეთესად შეისწავლონ“, — განაცხა-

და თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

ნოე რამიშვილის კუთვნილი დოკუმენტები ახლა უკვე თსუ-ის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ცენტრ-ბიბლიოთეკაში ინახება. მათ შორის არის, ასევე, შალვა აბდუშელიშვილის მოგონებები ნოე რამიშვილზე; აქამდე უცნობი ხელნაწერი, რომელიც მან ნოე რამიშვილის მეუღლეს — მარო რამიშვილს დაუტოვა; მონობა დამფუძნებელი კრების წევრობის შესახებ; სავიზიტო ბარათი; რუსეთის იმპერიის მიერ გაცემული პასპორტი; ფრანგული პირადობის მონობა; დიპლომატიური პასპორტი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პასპორტი; დიპლომატიური ვიზები; ნოე რამიშვილის ბარათი პოლიციის კარტოთეკიდან; საგაზეთო ამონარიდი და მარო რამიშვილის წერილები.

„აქ საკმაოდ ბევრი დოკუმენტია, რომელიც ქართული სამეცნიერო სივრცისთვის უცნობი იყო. ჩვენ ახლა მათი დამუშავების ეტაპზე ვართ და თებერვლის ბოლოს უკვე ყველა დოკუმენტი „განმედილი“ იქნება. ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა მეცნიერებისთვის საკმაოდ საინტერესო და მიმზიდველი ინფორმაცია დაგროვდა. ამაზე დაყრდნობით არა ერთი ახალი კვლევის განხორციელება შეიძლება“, — განაცხადა თსუ-ის ბი-



ბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრ-ბიბლიოთეკის გამგემ ირაკლი ირემაძემ.

თსუ-ის ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრ-ბიბლიოთეკა ეტაპობრივად საზოგადოებას სხვადასხვა ღონისძიებებს შესთავაზებს, რომელიც 1918-1921 წლების უკეთ შესწავლაზე იქნება ორიენტირებული. დამფუძნებელთა კრების არჩევნების, ოკუპაციის, კონსტიტუციის და, ზოგადად, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიასთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ სამეცნიერო კონფერენციები პერმანენტულად გაიმართება, სადაც ახალი კვლევები იქნება წარმოდგენილი.

## ნოე ჟორდანიას დაბადებიდან 148 წლის იუბილე თსუ-ში აღნიშნეს



15 იანვარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას დაბადებიდან 148 წელი უსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით თსუ-ის ბიბლიოთეკის „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრ-ბიბლიოთეკის“ ინიციატივით დისკუსია გაიმართა. ღონისძიებაზე ნოე ჟორდანიას, როგორც პოლიტიკური ლიდერი, 3 კონკრეტული საკითხის

კონტექსტში განიხილეს. თემაზე — „ნოე ჟორდანიას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია“ — მოხსენება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მინვეულმა ლექტორმა ბექა კობახიძემ წაიკითხა. საკითხი — „ნოე ჟორდანიას და შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ“ — თსუ-ის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტმა დიმიტრი სილაქაძემ წარმოადგინა. თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტმა ლევან ლორთქიფანიძემ კი მოხსენება — „ნოე ჟორდანიას პოლიტიკური ინსტიტუტები და დემოკრატის შესახებ“ — წაიკითხა.

„ჩვენი მიზანია, რომ საზოგადოებაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის თემების მიმართ ინტერესი გავზარდოთ. ამ საკითხებზე, რომელიც აქამდე არ იყო აქტიური განხილვის საგანი, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში დისკუსიები დავიწყეთ. ეს არ იქნება ერთგვარი სახის ღონისძიება, ანალოგიურ დისკუსიებს ნოე რამიშვილის და სხვა პოლიტიკური ლიდერების შესახებაც გავმართათ“, — აღნიშნა თსუ-ის ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკის გამგემ ირაკლი ირემაძემ.



საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საკითხის მიმართ საზოგადოებაში ინტერესის გაძლიერების აუცილებლობაზე დისკუსიაში მონაწილე მოხსენებლებმაც ისაუბრეს.

„ეს ღონისძიება ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი მამა გაიხსენეს და მის იუბილეს აღნიშნავენ. დისკუსია იმ პროცესის ნაწილია, რომელსაც პირველი რესპუბლიკის ისტორიის გახსენება და მისი მემკვიდრეობის ხელახალი გადაფასება ჰქვია. ამავე დროს, ეს არის 2018 წლისთვის მზადება — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წელი უსრულ-

დება. ამისათვის როგორც საორგანიზაციო, ასევე იდეოლოგიური მომზადება საჭიროა. მოხარული ვარ, რომ თსუ-ის ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევის ცენტრი-ბიბლიოთეკა, სადაც ენერჯიული და კარგი ახალგაზრდები მუშაობენ. დარწმუნებული ვარ, ცენტრი კიდევ ბევრ საინტერესო ღონისძიებას გამართავს და 2018 წელს მომზადებული შევხვედებით“, — განაცხადა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მინვეულმა ლექტორმა ბექა კობახიძემ.

ნოე ჟორდანიას 148 წლის იუბილე დისკუსიით დასრულდა.

## მემარცხენეობა: გამოცდილება და ძირითადი გამოწვევები



1892 წლის 25 დეკემბერს დაბა ყვირილაში საქართველოს პირველი მემარცხენე მოძრაობის ყრილობა შედგა. ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად გასული წლის 25 დეკემბერს თბილისის ფაბრიკური საზოგადოების წევრებმა სამეცნიერო კონფერენცია: „მემარცხენეობა: გამოცდილება და ძირითადი გამოწვევები“ გამართეს. მოხსე-

ნების თემები სარედაქციო საბჭომ შეარჩია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ თბილისის ფაბრიკური საზოგადოების წევრები ლევან ლორთქიფანიძე და ირაკლი ირემაძე, თსუ-ის პოლიტიკის მიმართულების პროფესორი ვალერიან დოლიძე და გერმანელი კულტუროლოგი მარი აგნეს ლამრსდორფი. კონფერენციაზე 3 თემატური სექცია მუშაობდა.

„პირველი სექცია საქართველოს პირველი რესპუბლიკის თემაზე მუშაობდა. ორგანიზებაში თსუ-ის პირველი რესპუბლიკის კვლევების ცენტრი დაგვეხმარა. მონაწილეობდნენ კონკურსის შედეგად შერჩეული პოლიტიკის მიმართულების ბაკალავრები. საინტერესო თემები იყო: გურიის რესპუბლიკის ორგანიზების საკითხები და 105 წლის რევოლუციური ბრძოლა; საქართველოს საგარეო პოლიტიკა 1918-1921 წლებში; სტუდენტმა სანდრო ტაბატაძემ 1918 წლის არჩევნებში მონაწილე მემარცხენე პარტიების საარჩევნო პროგრამები შეადარა ერთმანეთს. მეორე სექციაში სოციალური მიმართულების სტუდენტები მონაწილეობდნენ, ამ ნაწილშიც საინტერესო კვლევები იყო, მაგალითად: გენდერული ჩაგვრა სოციალურ-

რი ურთიერთობების დროს; მემარცხენე ტერიტორიის გამოწვევი მიზეზები და ა.შ. მე-3 ბლოკში მოწვეული სტუმრების მოხსენებები მთავრდებოდა. პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტმა თორნიკე ჩივაძემ ისაუბრა თანამედროვე მემარცხენე დღის წესრიგზე ეკონომიკის კონტექსტში. ჩვენ ვცდილობთ, რომ მოვიცვათ ყველა ჯგუფი, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. ამ თემაზე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ესმა გუმბერიძემ ისაუბრა. იგი თავად უსინათლოა და არაჩვეულებრივად იცნობს ამ საკითხს. ესმა გუმბერიძის მოხსენება შეზღუდული შესაძლებლობების პირების საკანონმდებლო და სოციალურ პრობლემებს შეეხებოდა. კავკასიური სახლის წარმომადგენელმა მწვენი პოლიტიკისა და ეკოლოგიური გამოწვევების შესახებ მნიშვნელოვანი მოხსენება წარმოადგინა“, — განაცხადა თბილისის ფაბრიკური საზოგადოების დირექტორმა, თსუ-ის სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ.

კონფერენციაზე მოხსენებები, ასევე, წაიკითხეს „თვითორგანიზების ქსელის“, „კავკასიური სახლის“, შშმ თემის, მოძრაო-

ბის „სტუდენტები განათლების პოლიტიკის წინააღმდეგ“ და „ურბან-რეაქტორის“ წარმომადგენლებმა. ორგანიზაცია „ურბან-რეაქტორმა“ თსუ-ის ბიბლიოთეკას და კონფერენციის მონაწილეებს საჩუქრად გადასცა ჯეინ ჯეიკობის „ამერიკული ქალაქების სივრცული და სიკვდილი“ — ერთ-ერთი კლასიკური ნაშრომი ურბან-სოციოლოგიაში.

თბილისის ფაბრიკური საზოგადოების გადაწყვეტილებით, 25 დეკემბრის სამეცნიერო კონფერენცია ტრადიციულ ხასიათს მიიღებს და ყოველწლიურად გაიმართება. თითოეული სამეცნიერო ღონისძიება ერთ კონკრეტულ თემას მიეძღვნება.

თბილისის ფაბრიკური საზოგადოებაში ორი მიმართულებით საქმიანობენ — სამეცნიერო-კვლევითი და სამოქალაქო-პოლიტიკური. ამ დროისთვის მიმდინარეობს მემარცხენეობის ქრესტომათიის II ტომზე მუშაობა. პარალელურად, სტუდენტებთან ერთად მთარგმნელობითი პროექტებიც ხორციელდება.

გვერდის მასალები მოამზადა ნატო მკოლქაძემ





# ახალი სახელმძღვანელოების პრეზენტაცია

## „სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისთვის“ „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ“

**თ**ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის პროფესორი მსოფლიოში აპრობირებული და აღიარებული სახელმძღვანელოების თარგმანია: „ჩვენი უნივერსიტეტი საერთაშორისო სტანდარტებს რომ დავაახლოოთ, აუცილებელია იმ სახელმძღვანელოებით ვასწავლოთ, რომლებითაც წამყვან უნივერსიტეტებში სწავლობენ“, — ასეთია თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას პოზიცია.

ფაკულტეტებთან კონსულტაციებით გადაწყდა, რომ სტუდენტმა ქართულ ენაზე მიიღოს ის ინფორმაცია, რასაც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ასწავლიან. დარგის სპეციალისტებმა თავად შეარჩიეს საჭირო სახელმძღვანელოების ნუსხა. საავტორო უფლებები, ძირითადად, უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯზე შეიძინეს. ფაკულტეტებზე, აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტილებით, შერჩეულ სახელმძღვანელოებს პროფესორები და დარგის სპეციალისტები თარგმნიან და მოამზადებენ გამოსაცემად. მათ შორის იქნება ბექდუარი და ელექტრონული ვერსიებიც.

ამჟამად უნივერსიტეტს 100-ზე მეტი სახელმძღვანელო ლიცენზია აქვს ნაყიდი. წიგნების ნაწილი უკვე გამოვიდა. მათ რიცხვს დღეს შეემატა: „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ“ (ავტორები ფ. ლოკი და დ. ბლედი) და „სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისთვის“ (ავტორები დ. ანდერსენი, დ. სვინი, თ. უილიამსი). წიგნები თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის ინიციატივით თარგმნა. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ამ მხრივ, ლიდერია და მის ანგარიშზე უკვე 10-მდე სახელმძღვანელოა, რომელთაც მსოფლიო მასშტაბით კონკურენტი არ ჰყავს.

სახელმძღვანელო — „სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისთვის“ (მე-11 განახლებული გამოცემა) ქართულენოვანი თარგმანის სამეცნიერო რედაქტორია პროფესორი ქეთევან მარშავა; სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: პროფესორი სიმონ გელაშვილი და ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი. წიგნის ერთ-ერთი ავტორი — დევიდ ანდერსენი ცინცინატის უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების კოლეჯის პროფესორია რაოდენობრივ ანალიზში. იგი 10 სახელმძღვანელოს თანაავტორია შემდეგ დისციპლინებში: სტატისტიკა, მენეჯმენტი და წრფივი პროგრამირება. მეორე ავტორი — დენის სვინი პროფესორია რაოდენობრივ ანალიზში და მხარმოთვლურების გაუმჯობესების ცენტრის დამაარსებელია ცინცინატის უნივერსიტეტში. მას გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სტატია და მონოგრაფია მენეჯმენტსა და სტატისტიკაში. მესამე ავტორი — თომას უილიამსი მენეჯმენტის პროფესორია, როჩესტერის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბიზნესის კოლეჯში და 11 სახელმძღვანელოს თანაავტორია შემდეგ დისციპლინებში: მენეჯმენტი, სტატისტიკა და მათემატიკა.

მსოფლიოში ცნობილი ამ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების პრეზენტაცია 2 დეკემბერს გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, პროფესორმა ნოდარ ხადურმა, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვა საჯარო სამსახურების, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. პრეზენტაციაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პერსონალი და სტუდენტები.

„მინდა მადლობა მოვახსენო ქალბატონ ქეთევანსა და ბატონ სიმონს, ფაკულტეტის მთელ კოლექტივს, ასეთი შესანიშნავი და პრომატევადი სამუშაოს განხორციელებისთვის. რაც უნივერსიტეტის რექტორი გახვდით, ორიენტაცია წამყვანი სახელმძღვანელოების თარგმნის მიმართულებით ავიღე, რათა დავძლიოთ ის განსხვავება, რომელიც არის მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და ჩვენს უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას შორის. ამის მისაღწევად საჭიროა ქართულ სტუდენტებს იმ სახელმძღვანელოებით ვასწავლოთ, რომლებითაც სწავლობენ



სტუდენტები ჰარვარდსა და ოქსფორდში. ბუნებრივია, რომ ყველა სახელმძღვანელოს ვერ ვთარგმნი, მაგრამ სახელმძღვანელო, რომელიც იძლევა საბაზისო ცოდნას, უნდა ითარგმნოს. მოკლე დროში, პრაქტიკულად, ხუთი წიგნი ითარგმნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სახელმძღვანელოები არ არის გათვლილი მხოლოდ სტუდენტურ აუდიტორიაზე, მას ბევრად უფრო ფართო მკითხველი ეყოლება. უნივერსიტეტი, ამ მიმართულებით, სწორი კურსი აქვს ატეხული და ეს მომავალშიც გაგრძელდება. ეკონომიკის ფაკულტეტმა ამ დროში მოახერხა ხუთი წიგნის მომზადება და გამოქვეყნება — ეს მაგალითი უნდა გახდეს სხვა ფაკულტეტებისთვისაც“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ და მზადყოფნა გამოთქვა ამ მიმართულებით ყველა ფაკულტეტის ინიციატივის მხარდასაჭერად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის თქმით: „თსუ-ში გრძელდება მსოფლიოში აპრობირებული, წარმატებული სახელმძღვანელოების თარგმნა, რაც კარგი ინიციატივაა. ეს სახელმძღვანელოები საშუალებას მოგვცემს, ეკონომიკის განვითარების პროცესს და დარგში მიღწეული წარმატებები სტუდენტებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ. მნიშვნელოვანია, რომ ამ ორი სახელმძღვანელოს საშუალებით სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, მეცნიერების ყველაზე დიდი მიღწევები პირველი წყაროდან გაიგონ. იმედი გვაქვს, ამ მხრივ, აშშ-ის საელჩო და სხვა საელჩოები პროფესორებისა და სტუდენტების მხარდაჭერას ისევ გააგრძელებენ“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

„თუ გვინდა, გვექონდეს უფრო ხარისხიანი უმაღლესი განათლება და უფრო მეტად ვიყოთ ინტეგრირებული ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან, მნიშვნელოვანია, გავცნოთ უცხოელი მეცნიერების უახლეს მიღწევებს. ეს წიგნები ნამდვილად შეუწყობს ხელს ჩვენი სტუდენტებისთვის უფრო ხარისხიანი განათლების მიცემას“, — განაცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ირინე დარჩიამ.

„სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისთვის“ წამყვანი სახელმძღვანელოა დასავლეთის უნივერსიტეტებში. იგი შეიცავს 22 თავს, დანართებს, გლოსარიუმს, ლუნი სავარჯიშოების პასუხებს და მითითებებს სტატისტიკური პროგრამების გამოყენებისთვის. წიგნს გამოარჩევს საფუძვლიანი სტატისტიკური მეთოდოლოგია, შემოწმებული პროგრამულ-სასცენარო მიდგომა, პრაქტიკული მაგალითები, სადაც დემონსტრირებულია სტატისტიკის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკისა და ბიზნესში გადაწყვეტილებების მიღების სფეროში. ამ გამოცემაში სრულიად გადახალისებულია 350-ზე მეტი მაგალითი ბიზნესიდან, რეალური მაგალითები კი, სტატისტიკურ მეთოდებთან ერთად, საკამოდ ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს აშშ-სა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკისა და ბიზნესის პროცესზე.

წიგნი, თავისი სტრუქტურით, ავტორების მაღალი კვალიფიკაციით, მარტივი ენით, თეორიული მასალისა და პრაქტიკული შემთხვევების კომბინაციით სრულიად შეესაბამება სწავლების საერთაშორისო სტანდარტებს. სახელმძღვანელო სტუდენტებს აცნობს Minitab 16-ისა და Microsoft Office Excel 2010-ის პროგრამულ პაკეტებს, რითაც ხაზგასმულია პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობა სტატისტიკურ ანალიზში. Minitab-ი წარმოადგენს სტატისტიკური სწავლებისა და პრაქტიკის ერთ-ერთი წამყვანი პროგრამული პაკეტი. მართალია, Excel-ი სტატისტიკური პროგრამა არ არის, მაგრამ თავისი ფართო შესაძლებლობების გამო, მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის მისი სწავლება.

სადაც სურს უფრო მეტი იცოდეს ეკონომიკური განვითარების გაზომვისათვის საჭირო სტატისტიკის შესახებ ეთგო-ს ქვეყნებში. პროფესორმა სიმონ გელაშვილმა წიგნის წარდგენა მის მომზადება-გამოცემაში მთავარი პასუხისმგებელი პირის — ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) სტატისტიკის სამმართველოს დირექტორის — მარტინ დიურანის სიტყვებით დაასრულა: „დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოცემა დიდი კეთილგანწყობით იქნება მიღებული უამრავი სტუდენტის, ახალგაზრდა სტატისტიკოსის, უურნალისტის, ეკონომისტისა და მოქალაქის მიერ, ვისაც სურს უფრო მეტი იცოდეს ეკონომიკური განვითარების გაზომვისათვის საჭირო სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ“. სახელმძღვანელო გარკვეულ დახმარებას გაუწევს ბაკალავრიატის სტუდენტებსაც, რომელთაც სურთ, სიღრმისეულად შეისწავლონ ეროვნული ანგარიშები. წიგნი მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური პერსონალისათვის, ისე პრაქტიკოსებისთვისაც.

უცხოეთის გამოცემლობასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ამ წიგნის ქართული ვერსია: [https://tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf](https://tsu.ge/data/file_db/economist_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf) უკვე გამოქვეყნდა ელექტრონულ ფორმატში თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე (ელექტრონულ ბიბლიოთეკაში), რაც ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომია.

წიგნების სამეცნიერო და სასწავლო ღირებულებაზე ისაუბრა პროფესორმა მირიან ტუხაშვილმა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის დამაარსებლები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების არსებობას, რომელსაც ქართული იდენტობისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: „ქართული მეცნიერების ფუძემდებლებს, თსუ-ის დამაარსებლებს უნდოდათ, რომ მეცნიერება ქართულ ენაზე შექმნათ. ეს შემართება დღესაც გრძელდება, რაც სა-მაგალითო და მისასალმებელია. ამას მხარს უჭერს თსუ-ის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი. კარგი იქნება, თუ ფინანსური რესურსი ამ მხრივაც გაიზარდება — ამას სტუდენტებიც ითხოვენ“, — განაცხადა ბატონმა მირიან ტუხაშვილმა.

„ქართულ ეკონომიკაში არის რიგი პრობლემური საკითხები, რომელიც ახლებურად გააზრებას და მიდგომას ითხოვს. ეს სახელმძღვანელოები სპეციალისტებს დაეხმარება ეკონომიკური საკითხების სწორ ანალიზსა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრაში. დარწმუნებული ვარ, ორივე სახელმძღვანელოს დიდი რეზონანსი მოჰყვება საზოგადოების მხრიდან და შეუცვლელი იქნება არა მარტო თსუ-ის, არამედ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვისაც“, — განმარტა ეკონომიკის აკადემიურმა დოქტორმა იოსებ არჩვაძემ.

თითოეულმა პრეზენტატორმა და გამოცემის მადლობა დიდი მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირს, ვინც დაკავშირებული იყო ამ სახელმძღვანელოების თარგმნისა და გამოცემის ხანგრძლივ პროცესთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორივე წიგნის თარგმნა და გამოცემა განხორციელდა თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით, მოქმედ სახელმძღვანელოების თარგმნის საუნივერსიტეტო პროექტის ფარგლებში, რაც ჩვენი სტუდენტებისთვის თანამედროვე უცხოენოვანი სახელმძღვანელოების გაცნობა-შესწავლის ფართო შესაძლებლობას წარმოადგენს. ეს კი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების საწინდარია.

წიგნების სამეცნიერო და სასწავლო ღირებულებაზე ისაუბრა პროფესორმა მირიან ტუხაშვილმა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის დამაარსებლები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების არსებობას, რომელსაც ქართული იდენტობისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: „ქართული მეცნიერების ფუძემდებლებს, თსუ-ის დამაარსებლებს უნდოდათ, რომ მეცნიერება ქართულ ენაზე შექმნათ. ეს შემართება დღესაც გრძელდება, რაც სა-მაგალითო და მისასალმებელია. ამას მხარს უჭერს თსუ-ის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი. კარგი იქნება, თუ ფინანსური რესურსი ამ მხრივაც გაიზარდება — ამას სტუდენტებიც ითხოვენ“, — განაცხადა ბატონმა მირიან ტუხაშვილმა.

წიგნების სამეცნიერო და სასწავლო ღირებულებაზე ისაუბრა პროფესორმა მირიან ტუხაშვილმა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის დამაარსებლები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების არსებობას, რომელსაც ქართული იდენტობისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: „ქართული მეცნიერების ფუძემდებლებს, თსუ-ის დამაარსებლებს უნდოდათ, რომ მეცნიერება ქართულ ენაზე შექმნათ. ეს შემართება დღესაც გრძელდება, რაც სა-მაგალითო და მისასალმებელია. ამას მხარს უჭერს თსუ-ის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი. კარგი იქნება, თუ ფინანსური რესურსი ამ მხრივაც გაიზარდება — ამას სტუდენტებიც ითხოვენ“, — განაცხადა ბატონმა მირიან ტუხაშვილმა.



მომზადდა თამარ ლალიანმა

# აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი 70 წლისაა

**18** დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დაარსების 70 წლისადმი მიძღვნილი იუბილე გაიმართა. საიუბილეო ღონისძიება სამეცნიერო კონფერენციით, აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო პროგრამის სპეციალური კრებულის — „აღმოსავლეთმცოდნეობა“ პრეზენტაციით და ინსტიტუტის მიერ საარქივო მასალების გამოყენებით მომზადებული დოკუმენტური ფილმის ჩვენებით აღინიშნა. ღონისძიებას ხელისუფლების წარმომადგენლები, თსუ-ის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.



ნანა გაფურინდაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი 1945 წელს აკადემიკოს გიორგი წერეთლის ინიციატივით დაარსდა. იგი დროთა განმავლობაში მსოფლიოში აღიარებული ქართული ორიენტალისტური სამეცნიერო სკოლის ცენტრად ჩამოყალიბდა. დღეს ფაკულტეტის ადგილზე ფუნქციონირებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც 7 კათედრაა გაერთიანებული: არაბისტიკის, არმენოლოგიის, ასირიოლოგიის, აღმოსავლეთის ისტორიის, ებრაისტიკა-არამეისტიკის, თურქოლოგიის, ირანისტიკის. უკვე მომზადებულია საფუძველი ახალი მიმართულებების – სინოლოგიის და იაპონისტიკის გახსნისთვის. ღონისძიებაზე არაერთგზის ითქვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დარგის განვითარება ქვეყნის მომავლისთვის და წინსვლისთვის.

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დაარსების ისტორია და მისი დამაარსებლები გაიხსენეს აკადემიკოსებმა: მარიამ ლორთქიფანიძემ, მზექალა შანიძემ და სხვებმა. „აღმოსავლეთი, თავისი ისტორიითა და კულტურით, ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დღის წესრიგში დადგა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესწავლა. უნივერსიტეტის დამაარსებლები, ივანე ჯავახიშვილი და აკაკი შანიძე მაშინვე შეუდგნენ ამ დარგის შესწავლასა და სწავლებას. ომის დამთავრების

შემდეგ გიორგი წერეთელმა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ჩამოაყალიბა. ოფიციალური დასაბუთება ის გახლდათ, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების წარმართვა აუცილებელი იყო. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ყოველთვის გამორჩეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ აღიზარდნენ ისეთი მეცნიერები, რომელთაც ქართულ მეცნიერებას თავიანთი კვალი დაატყვეს. 70 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი დიდი და სასარგებლო საქმე გაკეთდა“, — განაცხადა მზექალა შანიძემ.

„გიორგი წერეთელმა შექმნა მთელი ეპოქა ქართულ მეცნიერებაში და ქართულ სამეცნიერო ცხოვრებაში. მე ძალზე დავალებული ვარ მისგან და ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მასთან პირადი ურთიერთობა მქონოდა“, — აღნიშნა მარიამ ლორთქიფანიძემ.

როგორც საიუბილეო ღონისძიებაზე სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაარსების დღიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამორჩეული მიმართულებაა და სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდების დაინტერესება ამ სფეროთი დღითი დღე იზრდება. „ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ დარგში, რომელსაც ტრადიცია ჯერ კიდევ 70 წლის წინ ჩაეყარა, კვალიფიციური სპეციალისტები აღიზარდონ“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.



დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და იუბილე მიულოცა განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, რომელმაც დარგის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „აღმოსავლეთმცოდნეობას და მის განვითარებას ქვეყნისთვის მართლაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს დარგი ყოველთვის პოპულარული იყო საქართველოში და ამის უმთავრესი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ ამ მიმართულებას უნივერსიტეტში ქმნიდნენ უდიდესი მეცნიერები. სასიამოვნოა, რომ ამ ტრადიციას დღეს წარმატებით აგრძელებს აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი“, — აღნიშნა თამარ სანიკიძემ.

საიუბილეო ღონისძიებაზე აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა აპოლონ სილაგაძემ ინსტიტუტის დაარსების ისტორიაზე, დარგის განვითარებაზე და მის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა. „წელს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტს 70 წელი შეუსრულდა. საუნივერსიტეტო აღმოსავლეთმცოდნეობა სამეცნიერო მუშაობაში იმ ტრადიციების ერთგულია, რომლის მიხედვითაც, წმინდა ორიენტალისტური პრობლემატიკის გარდა, ქართველი აღმოსავლეთმცოდნეებისთვის პრიორიტეტულია ქართველოლოგიური და ქართულ-აღმოსავლური კვლევები.“

დღეს აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საქმიანობა თვისობრივად განვითარების ახალ ეტაპზეა. საუნივერსიტეტო ორიენტალისტიკა, ერთი მხრივ, ინარჩუნებს კლასიკურ ტრადიციებს, მეორე მხრივ, იგი არის ახალი, უფრო ფართო პროფილის რეგიონალური ცოდნითი სასიათის დისციპლინა, რომლისთვისაც – სასწავლო პროცესშიც და კვლევებშიც – განსაკუთრებით აქტიუალურია თანამედროვე ცოცხალი-სამეცნიერო აღმოსავლური ენები და დიალექტები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები და მათი მიმართებები

მოამზადა შურთისია ბაროშვილმა



აპოლონ სილაგაძე

## „სტუდენტები უნივერსიტეტის განვითარებისთვის“ თსუ-ში ახალი მოძრაობა დაიწყო

ნათო მობლაძე

**თ**სუ-ში ახალი სტუდენტური მოძრაობა დაიწყო. ჯგუფი „სტუდენტები უნივერსიტეტის განვითარებისთვის“ დაახლოებით ერთი თვის წინ ჩამოყალიბდა და ამ დროისთვის პრობლემათა მოძიებისა და იდენტიფიცირების ეტაპზეა. სოციალურ ქსელში გახსნილია სპეციალური ჯგუფი, სადაც მოძრაობის წევრები ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს უზიარებენ.

„სტუდენტები უნივერსიტეტის განვითარებისთვის“ წარმოადგენს თსუ-ის სტუდენტურ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში არსებული პრობლემების მოძიებას და მათ მოსაგვარებლად კონკრეტული მოქმედებების განხორციელებას რექტორთან და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. უნივერსიტეტში არსებობს ხარვეზები, რომელთა არსებობა ხელს უშლის სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას, ამიტომ სტუდენტები ერთიანდები-

ან, რომ უნივერსიტეტში არსებული სტრატეგია სტუდენტების აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით გააუმჯობესონ და ხელი შეუწყონ მისი რეფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესს“, — აღნიშნულია მოძრაობის აღწერილობაში. მიზნის მისაღწევად სტუდენტები თსუ-ის ადმინისტრაციაში დამატებითი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებას ითხოვენ, სადაც სტუდენტებს საშუალება ექნებათ, სურვილის შემთხვევაში, ანონიმურადაც ისაუბრონ საკუთარი პრობლემების შესახებ და კომპეტენტური პასუხები მიიღონ.

„ჩვენი მიზანია, რომ თსუ გადავიდეს პრობლემათა მოძიების დახურულ ფორმატზე. რექტორთან ან ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებს საკმაოდ ბევრი სტუდენტი ესწრება, თუმცა იმასთან შეფარდებით — რამდენ სტუდენტსაც აქვს პრობლემა, ეს რაოდენობა მცირეა. ხშირად სტუდენტები საკუთარ პრობლემაზე არ საუბრობენ, რადგან ფიქრობენ, რომ დაუ-

პირისპირდებიან ლექტორებს, ადმინისტრაციას და ამას ერიდებიან. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვთანამშრომლობთ თსუ-ის ადმინისტრაციასთან და არავის ვუპირისპირდებით. მათ უკვე შევთავაზეთ თანამშრომლობა და მზადყოფნაც გამოთქვეს. ახლა მთავარია — დანაპირები მოქმედებაში აისახოს. სხვათა შორის, შეხვედრა გვექონდა ვიცე-რექტორთან, ქალბატონ დარეჯან თვალთვაძესთან, რომელიც ჩვენი ინიციატივის მომხრეა და დახმარება აღვითქვა“, — განაცხადა ახალი სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ანი მახათლიშვილმა.

მოძრაობა „სტუდენტები უნივერსიტეტის განვითარებისთვის“ ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის პასუხს ელოდება. სტუდენტები ვარაუდობენ, რომ ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებისთვის უკვე კონკრეტული შედეგები იქნება.



ანი მახათლიშვილი







# ქართული ისტორიოგრაფიის ღირსეული წარმომადგენელი

ღავით გვრიტიშვილი (1915-1969 წწ.) — ალბათ, ცოტა ვინმეს თუ ხვდა წილად ასეთი პატივი და ბედნიერება — ივანე ჯავახიშვილს დაელოცა გზა მეცნიერებაში. შრომისმოყვარეობითა და ნიჭით გამორჩეული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1938 წ.), დიდი მეცნიერის რეკომენდაციით იმავე წელს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა. სავსებით გაამართლა დავით გვრიტიშვილმა მოძღვრატ-მოძღვრის იმედები — სტუდენტების საყვარელი ლექტორი, თვალსაჩინო მეცნიერი, პატრიოტი, სამართლიანი და პრინციპული პიროვნება შეიძინა ქართულმა საისტორიო სკოლამ და ქართულმა საზოგადოებამ.

არ შეიძლება, და არც მისცემია დავიწყებას ბატონი დავითის სახელი. დავით გვრიტიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა საფუძვლიანად არის წარმოჩენილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში (საქართველოს ისტორიის კათედრა, 1918-2005 წწ., რედ. გ. საითიძე, 2010 წ.).

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით გვრიტიშვილის სახელი შეტანილია „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ (ტ. III, 1979 წ.).

მიუხედავად ამისა, მაინც არის გარკვეული უკმარისობის გრძობა, განცდა იმისა, რომ უფრო მეტ ყურადღებას და დაფასებას საჭიროებს დამსახურებული მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნა.

წინამდებარე წერილის მიზანია პატივი მივაგოთ ბატონი დავითის ნათელ ხსოვნას, კიდევ ერთხელ შევახსენოთ საზოგადოებას მისი ნაღვანი, მისი მონაფეთა მონაფეთებს და ახალგაზრდა თაობას ზოგადი წარმოდგენა მაინც შეუქმნათ ამ მართლაც ღირსეულ პიროვნებასა და მეცნიერზე.

თავის მოვალეობად ჩათვალა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა და მოხალისედ წავიდა ფრონტზე. 1942-1943 წწ-ის სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე მძიმე ჭრილობის გამო დემობილიზებული იქნა. მალე „მოიხადა ვალი“ იძულებით მიტოვებული თანამებრძოლების წინაშე, აღწერა ქართველთა თავდადება სტალინგრადის ბრძოლებში („ქართველი სტალინგრადელები“, 1944 წ.). როგორც ჩანს, ომის შთაბეჭდილებებმა გაუღვიძა ინტერესი სამხედრო თემატიკისადმი. ამავე პერიოდში გამოქვეყნდა მისი ორი წერილი, კრწანისის ბრძოლაზე და პეტრე ბაგრატიონზე. დავით გვრიტიშვილის 40-იანი წლების სამეცნიერო სტატიებიდან აღსანიშნავია „ქსნის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები“ და „დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის“, ესოდენ აქტუალური და პრობლემატური თანამედროვე საქართველოში. საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების დეტალური ანალიზის შედეგად, საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ დვალელები ქართველური ტომი

იყო და არავითარი იგივეობა მათსა და ოსებს შორის არ არსებობს.

დავით გვრიტიშვილმა მონოგრაფიული გამოკვლევები მიუძღვნა თავისი მასწავლებლის და მეცნიერებაში გზის გამკვლევს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (1949, 1968 წწ.). ამ ნაშრომში მთელი სისრულით არის წარმოჩენილი ივანე ჯავახიშვილის განვლილი ცხოვრების გზა — სამეცნიერო, საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა.

1953 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები)“; (1963 წელს გამოვიდა რუსული თარგმანი). ნაშრომმა სამეცნიერო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ქართული ფეოდალური საგვარეულოების, სათავადოების ისტორიის კვლევა საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხებთან არის დაკავშირებული და არსებითად გვიან შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის კვლევას წარმოადგენს. „ქვეყნის ისტორიის სრულყოფილად დამუშავება სათავადოების შესწავლის გარეშე შეუძლებელია. ამდენად სათავადოების მონოგრაფიულად შესწავლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს“, — წერს დავით გვრიტიშვილი თავისი გამოკვლევის შესავალში. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი ფაქტიურად შეუსწავლელი იყო. მხოლოდ პ. კარბელაშვილის „ამილახვართა საგვარეულოს სიგელ-გუჯრები“ („ძველი საქართველო“, რედ. ე. თაყაიშვილი, ტ. II, 1913 წ.) შეიძლება მივიჩნიოთ სათავადოს ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ და ერთადერთ მცდელობად. „გარდა ზოგადი მოსაზრებებისა, რომლებიც ნ. ბერძენიშვილს ეკუთვნის, უკანასკნელ წლებამდე ჩვენ თითქმის არაფერი გვექონდა... სათავადოების მონოგრაფიულად შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი საქმეა“, — აღნიშნავდა ბატონი დავითი.

თხუთმეტწლიანი კვლევა-ძიების შედეგად მან მონოგრაფიულად შეისწავლა ქართლის ექვსივე სათავადო: ქსნის და არაგვის საერისთავოები, საამილახვრო, სამუხრანბატონო, საციციშვილო და საბარათიანო (ამ უკანასკნელი სათავადოს შიგნით წარმოქმნილი საგვარეულო განშტოებებიც). საკითხის შესწავლას ქართული ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ისტორიის კვლევით იწყებს, რისი საბოლოო შედეგიცაა სათავადოების წარმოქმნა. შეიძლება ითქვას, სრულყოფილია ქართული ფეოდალიზმის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა — ვახუშტი ბაგრატიონით დაწყებული და მის თანამედროვე მკვლევართა შრომებით დამთავრებული. აღსანიშნავია, რომ დავით გვრიტიშვილის ყველა ნაშრომი გამოირჩევა საკითხის ირგვლივ არსებული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნით და ღრმა ანალიზით. აღნიშნულ ნაშრომში დადგენილია ყველა სათავადოს საზღვრები, ტერიტორია, მოსახლეობა, მეურნეობის სახეები, შინაგანი ორგანიზაცია, სოციალური ურთიერთობები, დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან და მეზობლებთან, სათა-



ვადოს ადგილი და როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სათავადოს სოფლის მეურნეობის შესწავლა ორგანულად არის გადაჯაჭვული გლეხობის საკითხთან. ამ ნაშრომში, ისევე როგორც გლეხთა კლასისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში (მონოგრაფია: „მასალები ქართველი გლეხობის ისტორიისათვის, XVIII ს., 1979 წ.), ვრცელი ადგილი ეთმობა და დანერგულია განხილული საქართველოში გლეხთა ცალკეული სოციალ-ეკონომიკური კატეგორიები (მსახური, ნაწყალობევი, ნებიერი, თარხანი, ბოგანო, ხიზანი), მიწისმფლობელობის ფორმები, გადასახადები (საბატონო, სახელმწიფო, საეკლესიო, სამოხელეო, უცხოელ დამპყრობთათვის), დახასიათებულია კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმები, თავადთა და გლეხთა ურთიერთობა და სხვა.

დავით გვრიტიშვილმა დიდი ყურადღება დაუთმო ქალაქების ისტორიის შესწავლას.

1952 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში (ტ. 45) და ცალკე წიგნად დაიბეჭდა მისი გამოკვლევა (თანაავტორი შ. მესხია) „თბილისის ისტორია“. თბილისის დაარსების 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 1958 წელს, ავტორთა კოლექტივთან (შ. მესხია, აკ. სურგულაძე, მ. დუმბაძე) ერთად გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფია „თბილისის ისტორია“; აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნარკვევი „თბილისის თავგადასავალი“. 1954 წელს გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია „გორის ისტორია“. აღნიშნულ ნაშრომებში გადმოცემულია ქალაქების პოლიტიკური ისტორია დაარსებიდან თანამედროვეობამდე, განხილულია სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხები, საქალაქო ცხოვრება და მართვა-გამგებლობა, ვაჭრობა-ხელოსნობის დარგები, კულტურულ-საგანმანათლებლო კერები და მათი ფუნქციონირება და სხვა.

დავით გვრიტიშვილი წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი (1950-1952 წწ.; 1956-1968 წწ.), საქართველოს ისტორიის

კათედრის პროფესორი (1957 წლიდან). ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს: „საქართველო XIII-XVIII საუკუნეებში“ (ლაშა-გიორგის გამეფებიდან ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიამდე რუსეთის მიერ 1801 წ.) და „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან“; XIII-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიას პრაქტიკულად მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე სწავლობდა. 1960-იან წლებში გამოაქვეყნა სამტომეული „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“ (ტ. I. XIII-XIV სს., 1962 წ.; ტ. II, XV-XVII სს., 1965 წ.; ტ. III, XVIII ს., 1968 წ.). ნაშრომებში შესწავლილია საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები: პოლიტიკური ვითარება, სოციალური ურთიერთობა და კლასთა ბრძოლის ფორმები, ეკონომიკური მდგომარეობა, სახელმწიფო მმართველობის სისტემა, საგარეო ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი პრობლემები გაშუქებულია ისტორიულ ასპექტში, საქართველოს ისტორიის კონკრეტულ პერიოდებთან მიმართებაში და ზოგადად ისტორიული განვითარების კონტექსტში. ყველა პრობლემა განხილულია და შესწავლილია არა იზოლირებულად, არამედ სხვა ხალხების ისტორიის გათვალისწინებით და იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე დაყრდნობით.

მისაბაძია დავით გვრიტიშვილის გულთბილი დამოკიდებულება და თანადგომა სტუდენტებისადმი. სამაგალითოა მისი მოქალაქეობრივი პოზიცია და პრინციპულობა.

1954 წელს ახალი ტალღა აგორდა ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ. ამჯერად ზოგიერთი პარტიული მუშაკი გამოდა „ჯავახიშვილის სკოლას“, და მას ანტიმარქსიზმსა და ნაციონალიზმში სდებდა ბრალს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან იყო მითითება მხარი დაეჭირათ მათთვის, ქართველმა ისტორიკოსებმა პრინციპული პოზიცია დაიკავეს. დავით გვრიტიშვილმა, შოთა მესხიამ და ვასილ კობალიანმა უარი თქვეს გაეზიარებინათ ასეთი ანტიმეცნიერული, ყალბი ბრალდებები. თუ გავითვალისწინებთ იმ დროინდელ ვითარებას, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ისტორიკოსთა, და პირადად ბატონი დავითის მოქმედება გამირობის ტოლფასი იყო.


ვფიქრობთ, კომენტარები ზედმეტია. ეს ერთი ფაქტიც ნათლად წარმოაჩენს დავით გვრიტიშვილის პატრიოტულ სულისკვეთებას და მაღალ ზნეობრიობას.

დავით გვრიტიშვილი ნადრევად, 54 წლისა, სამეცნიერო მოღვაწეობის აღმასვლის ასაკში გარდაიცვალა. დაგროვებული ცოდნით, ცხოვრების დიდი გამოცდილებით და მყარად ჩამოყალიბებული მოქალაქეობრივი პრინციპებით კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო ქვეყნისთვის.

**მარიკა ლორთქიფანიძე,**  
აკადემიკოსი  
**როინ მატრაქვილი,**  
აკადემიკოსი  
**გიორგი ოთხმეჯური,**  
პროფესორი



# ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების გზა ელექტროენერგიის მაქსიმალური დაზოგვით გამოგონებები თსუ-ის ბაზაზე



**10** დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიფინა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ნახევარგამტართა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და ინოვაციური სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრის მეცნიერების მიერ შექმნილი სხვადასხვა მოდიფიკაციის, სიმძლავრის და დანიშნულების ენერგოეფექტურობით გამორჩეული ოზონოგენერატორები.

ფოტონერგეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელის ვასილ შველიძის თქმით, ამ მოწყობილობებზე უკვე წლებია მუშაობენ და დაკვეთებიც აქვთ: „ოზონი არის ძალიან აქტიური ქიმიური ნივ-

თიერება, რომელიც უნივერსალური დეზინფექტორია, მაგრამ მისი ტექნოლოგიაში დანერგვა ძვირია და ამიტომაც მრეწველობასა და სხვა დარგებში არ დაინერგა. ჩვენ მოვახერხებთ ის, რომ შევქმნით ოზონის მიღების იაფი და მარტივი საშუალება – ოზონოგენერატორი, რომელიც 3-3,5-ჯერ მეტ მოგებას იძლევა“, — განაცხადა მან. როგორც ნახევარგამტართა სამეცნიერო-კვლე-

ვითი ინსტიტუტის დირექტორმა შოთა მირიანაშვილმა აღნიშნა, ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი მოწყობილობები ანალოგიური მოწყობილობებისგან იმით გამოირჩევა, რომ ექსპლუატაციის მარტივი მომსახურების საშუალებებს საჭიროებს, უსაფრთხოა (მუშაობს ძალიან დაბალ ძაბვაზე) და, რაც ყველაზე მთავარია, 1 გრამი სუფთა ოზონის მიღებაზე დახარ-

ჯული ენერჯის თვალსაზრისით, მას გაცილებით მაღალი კოეფიციენტი გააჩნია. ოზონოგენერატორებით დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა სამრეწველო და არასამრეწველო სფეროების წარმომადგენლები უკრაინიდან, მოლდოვიდან, არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან, ყატარიდან, რუსეთიდან, სუდანიდან, აშშ-დან, საუდის არაბეთიდან და სხვა.

ალსანიშნავია, რომ ოზონი დღეს მრავალ დარგში, მათ შორის, თავდაცვის, ჯანდაცვის, კოსმეტიკის, სოფლის მეურნეობის სფეროებში გამოიყენება. გამოგონებები, რომელიც თსუ-ის ლაბორატორიაში შეიქმნა, ხელს შეუწყობს გამწვავებული ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას ელექტროენერჯის მაქსიმალური დაზოგვით. გამოგონებზე წარმოდგენილი სხვადასხვა მოდიფი-

კაციის ოზონოგენერატორების შექმნაში მონაწილეობდნენ გენერალური კონსტრუქტორი ენერგეტიკოსი ჯანო ბურჯანაძე, ფოტონერგეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ვასილ შველიძე, მეცნიერ-თანამშრომელი გიორგი ბურჯანაძე და თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ნახევარგამტართა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი შოთა მირიანაშვილი.



## შექმენი შენი ნაკვის ხე!



ნასტასია აბაშიშვილი ახალ წელს თავისი შექმნილი ნაძვის ხით შეხვდა — მან ნაძვის ტოტის მაგივრად მუყაოს გადაგებული კოლოფი და ფერადი ქაღალდები გამოიყენა. თსუ ეკო-კლუბის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე — „შექმენი შენი ნაძვის ხე“ — მისმა ნამუშევარმა თანატოლების მონონება დაიმსახურა.

ძველი ტანსაცმლის ნაჭრებით, ბოთლების თავსახურებით, მუყაოს ყუთებით, წყლის მილებით, პლასტმასის ჭიქებით შექმნილი „ნაძვის ხეების“ ნახვის შემდეგ მართლაც შეიძლება ითქვას, რომ ბავშვების ფანტაზიას საზღვარი არ აქვს... 25 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საბავშვო უნივერსიტეტის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მხარდაჭერით გამოცხადებული და თსუ ეკო-კლუბის მიერ ორგანიზებული სკოლის მოსწავლეების კონკურსის — ნარჩენებისგან შექმნილი ნაძვის ხეების ფინალური ეტაპი და გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა. როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, კონკურსი მიზნად ისახავდა ნაძვის ხეების უმონწილო ქრის შეჩერებასა და მეორადი გამოყენების ნივთების პოპულარიზაციას საზოგადოებაში. აღსანიშნავია, რომ წელს კონკურსში საქართველოს ყველა რეგიონი ჩაერთო და მასში მონაწილეობა 131-მა სკოლამ მიიღო.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მესამე წელია, ტრადიციად იქცა ნარჩენებისგან შექმნილი ნაძვის

ხეების კონკურსის გამართვა. სასიამოვნოა, რომ მოსწავლეების აქტიუობა ყოველწლიურად იზრდება. ჩვენი მიზანია, ახალგაზრდები თავიდანვე მიეჩვიონ გარემოზე ზრუნვას და გაუფრთხილდნენ ბუნებას. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მოსწავლეებმა საოცარი შემოქმედებითი უნარი და ფანტაზია გამოავლინეს ნაძვის ხეების შექმნის პროცესში. წელს ჟიურიმ 9 გამარჯვებული გამოავლინა და საუკეთესოები სპეციალური პრიზებით დააჯილდოვა“, — განაცხადა თსუ ეკო-კლუბის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და კონკურსის იდეის ავტორმა ნანა მეფარიშვილმა.

„წელს კონკურსმა მოლოდინს გადააჭარბა, მოსწავლეებმა მართლაც ორიგინალური ნამუშევრები წარმოადგინეს. მათი უმრავლესობა სხვადასხვა ნარჩენებისგან არის გაკეთებული. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ წელს კონკურსში შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებიც ჩაერთნენ და, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ძალიან ლამაზი და საინტერესოდ მოფიქრებული ნამუშევრები შექმნეს. ამგვარი ღონისძიებების მიზანი ერთია: შევავსოთ ბავშვებს ბუნება და გაუჩნდეთ მათ ბუნების დაცვის სურვილი. ჩვენ დარწმუნ-

ნებულები ვართ, რომ ეს ახალგაზრდები ბუნების ქომაგები გაიზრდებიან“, — განაცხადა თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა, თსუ ეკო-კლუბის ხელმძღვანელმა გიორგი დვალაშვილმა.

131 სკოლიდან ჟიურიმ ფინალური ეტაპისთვის 35 ნამუშევარი შეარჩია, საპრიზო ადგილები კი 9 მოსწავლემ თანაბრად გადაინაწილა. საპრიზო ადგილის მფლობელები გახდნენ: ზაზა მაჩაიძე, თამარ ბარნოვი, თამარ ბეკურაშვილი, ირაკლი სოხაძე, ლანა გიორგაძე, ნია კოპალიშვილი, ნუცა სირაძე, სოფიკო გულორდავა და ხატია ქემერტილაძე. გამარჯვებულები კონკურსის ორგანიზატორებმა დიპლომებითა და სამახსოვრო პრიზებით დააჯილდოვეს, დანარჩენ მონაწილეებს კი სერტიფიკატები გადაეცათ. როგორც ღონისძიებაზე ითქვა, თსუ ეკო-კლუბი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების როლს ბუნებრივი რესურსების დაცვასა თუ ქვეყანაში მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ნინაპირობების შექმნაში.

მოამზადა შურთსია ბაროშვილმა



მთავარი რედაქტორი	<b>ნინო კაკულია</b>	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამხატვრო	<b>მაია ტორაძე</b>	რისმაგ გორდენიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, ირაკლი იმედაძე, ირმა რუხაძე	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	<b>მანანა ჯურხაძე</b>		(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკორესპონდენტი	<b>ანა ბოლქვაძე</b>		tsunewspaper@tsu.ge
კომპ. უზარუნველყოფა	<b>ზაზა გულაშვილი</b>		2 22 36 62

